დადგენილება:**დ-06. 122253386**

თარიღი:**04/12/2025**

საურავის დარიცხვის შესახებ

მე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - სოს ბდოიანმა, განვიხილე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობისა და რეაგირების საკითხებში, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - ვააგნ დარბინიანის 2025 წლის 09 სექტემბერს შედგენილი N000048 საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მოქალაქე მირდამათ ნასიბოვის (პ/ნ36001031988) მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^2 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის და გამოვარკვიე:

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების მონიტორინგისას გაირკვა, რომ მოქალაქე მირდამათ ნასიბოვი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით უკანონოდ/მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობს. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^2 მუხლის 1-ლი ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას 1000 დან 2000 ლარამდე ოდენობით.

მირდამათ ნასიბოვის ზეპირი ახსნა-განმარტების საფუძველზე დადასტურდა სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის(საძოვარი:ს/კ65.07.31.022) უნებართვოდ გამოყენების ფაქტი, თუმცა მან არ აღიარა ჩადენილი სამართალდარღვევა, უარი თქვა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოწოდებაზე, ასევე საჯარიმო ქვითარზე ხელის მოწერასა და მიღებაზეც. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების ეტაპზე ასევე დადგინდა რომ დამრღვევის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავების ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე გამოყენების ფაქტს ბოლო ერთი წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209^3 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტების საფუძველზე საქმის გარემოებების სრულყოფილი შესწავლის შედეგად დამრღვევის მიმართ ადგილზე შედგენილ იქნა 2025 წლის 09 სექტემბრის N000048 საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მირდამათ ნასიბოვს დაეკისრა ჯარიმა 2000(ორი ათასი) ლარის ოდენობით.

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, მიეცა განმარტება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ, აგრეთვე განემარტა, რომ საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ მას დაერიცხება საურავი ჩადენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობით. მიუხედავად ამისა დამრღვევის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გადახდილი ჯარიმა.

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ვიხელმძღვანელე რა საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსი“-ის IV თავით, საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 55^2 მუხლის 1-ლი პუნქტით, ამავე კანონის 288^2, 288^3, 288^4 და 288^5 მუხლებით, ასევე „ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის N8 დადგენილების მე-8 მუხლით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე

1. მოქალაქე **მირდამათ ნასიბოვს(პ/ნ36001031988)** მის. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი თულარი, მე-2 ქ. N22) დაერიცხოს საურავი 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო;

2. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3. დადგენილების გაცნობის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა დაევალოს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს;

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილების მხარისათვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ. N43).

სოს ბდოიან

ზედამხედველობის სამსახური-პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი